




სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

(დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს 2022 წლის 12 იანვრის კრების ოქმით)



შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი	3
მუხლი 2. სწავლების ენა	3
მუხლი 3. უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვება.....	3
მუხლი 4. მობილობის წესით უნივერსიტეტში სტუდენტის ჩარიცხვა	5
მუხლი 5. მობილობის ზოგადი წესი და პროცედურა.....	6
მუხლი 6. მობილობის შედეგები.....	6
მუხლი 7. შიდა მობილობა.....	7
მუხლი 8. სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის ცნება.....	7
მუხლი 9. სტუდენტის სტატუსის შეჩერების წესი.....	7
მუხლი 10. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წესი.....	8
მუხლი 11. სტუდენტის სტატუსის აღდგენა.....	9
მუხლი 12. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის ზოგადი აღწერა.	10
მუხლი 13. სტუდენტის სასწავლო საქმიანობა	10
მუხლი 14. სტუდენტთა მიღწევების შეფასება.....	10
მუხლი 15. სტუდენტის მიერ კრედიტების დაგროვება. დამატებითი სემესტრი.....	15
მუხლი 16. უნივერსიტეტის აკადემიური წელი	15
მუხლი 17. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ორგანიზება.	16
მუხლი 18. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობა	17
მუხლი 19. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსები.....	18
მუხლი 20. საგანმანათლებლო პროგრამების აღიარების ზოგადი პრინციპები.....	18
მუხლი 21. საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების წესი.....	18
მუხლი 22. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება და კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება.....	19
მუხლი 23. სწავლის საფასური	19
მუხლი 24. სტუდენტის უფლებები	20
მუხლი 25. სტუდენტის მოვალეობები	21
მუხლი 26. ფორმალური კომუნიკაციის საშუალებები:.....	21
მუხლი 27. ხელშეკრულება	21
მუხლი 28. გამოცდების ჩატარების წესები.....	21
მუხლი 29. დასკვნითი დებულებები.....	22

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (შემდგომში-წესი) არეგულირებს შპს ალტე უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურულ საკითხებს, ადგენს სასწავლო პროცესის მონაწილეთა ურთიერთვალდებულებებსა და განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური საქმიანობის ერთიან მარეგულირებელ ნორმებს.
2. წინამდებარე წესი შესასრულებლად სავალდებულოა უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ყველა მონაწილის - აკადემიური / სამეცნიერო / მოწვეული პერსონალისა და სტუდენტებისათვის, აგრეთვე სასწავლო პროცესის განხორციელების ხელშემწყობი ადმინისტრაციული პერსონალისათვის.
3. სასწავლო პროცესის ძირითად მიზანს – სწავლების შედეგზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის რეალიზებას უნივერსიტეტი ახორციელებს შემდეგი სახით:
 - 3.1 უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ;
 - 3.2 უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას სათანადო ფინანსური და მატერიალური რესურსებით;
 - 3.3 ნერგავს სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების მრავალკომპონენტურ სისტემას და იყენებს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საერთო სისტემას, რომლის შედეგები აისახება თვითშეფასების ანგარიშში;
 - 3.4 უზრუნველყოფს უნივერსიტეტში ხარისხის სისტემის მუდმივ სრულყოფას და მის შესაბამისობაში მოყვანას - სწავლა, სწავლება და შეფასების ერთიან ხედვასთან;
 - 3.5 აღიარებს აკადემიური თავისუფლების ურყევ ნებას.
4. სასწავლო პროცესის სტრუქტურა ექვემდებარება მუდმივ მონიტორინგს, განახლებასა და სრულყოფას, ხოლო სწავლების შინაარსი დაფუძნებულია რიგი საუნივერსიტეტო ღირებულებების შექმნაზე და მათ შემდგომ სრულყოფასა და განვითარებაზე.

მუხლი 2. სწავლების ენა

1. უნივერსიტეტში სწავლების ენა არის ქართული და ინგლისური.

მუხლი 3. უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1. ალტე უნივერსიტეტი სტუდენტის სტატუსს ანიჭებს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და ერთსაფეხურიან აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებზე კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით ჩარიცხულ სტუდენტებს.
2. უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატში) სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესის შესაბამისად.
 - 2.1 სტუდენტის სტატუსის მოპოვებისათვის ბაკალავრიატის სწავლების საფეხურზე პირი ვალდებულია გაიაროს ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად და აბიტურიენტთა ქულების რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე მოიპოვოს უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების უფლება.
 - 2.2 უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლების მოპოვების შემდეგ, აბიტურიენტი ვალდებულია მიმართოს უნივერსიტეტს განცხადებით ჩარიცხვის თაობაზე.

- 2.3 .სტუდენტის განცხადების და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე უნივერსიტეტის პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებას უნივერსიტეტში სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ.
- 2.4. უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანება სტუდენტების ჩარიცხვის თაობაზე აისახება სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
- 2.5. აბიტურიენტი ვალდებულია ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის განსაზღვრულ ვადებში წარმოადგინოს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია.
- 2.6. აბიტურიენტი, რომელიც ვერ/არ გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას, უფლებამოსილია უნივერსიტეტს მიმართოს ჩარიცხვის მოთხოვნით კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში.
3. უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების, შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა/გამოცდების ჩაბარების საფუძველზე, ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესის შესაბამისად.
4. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტებს/მაგისტრანტობის კანდიდატებს ალტე უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი მიენიჭება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, კერძოდ:
- 4.1. უნივერსიტეტში საბაკალავრო/ერთსაფეხურიან/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება (ამ წესით დადგენილ ვადებში) აქვს:
- ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;
 - ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;
 - გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატში/მაგისტრატურაში;
 - დ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატში/მაგისტრატურაში;
 - ე) მაგისტრანტობის კანდიდატებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - ვ) მაგისტრანტობის კანდიდატებს, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით;
 - ზ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე და აქვთ საქართველოში გაცემული სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.
- 4.2. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე დასაშვებია ა) და ბ) პუნქტით განსაზღვრული პირებისათვის, ასევე გ) და დ) პუნქტით განსაზღვრული ბაკალავრიატის

სტუდენტებისათვის ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად.

- 4.3. უნივერსიტეტში ჩარიცხვის მსურველი ამ მუხლის 4.1 პუნქტით განსაზღვრული აბიტურიენტი მიმართავს უნივერსიტეტს, რომელიც ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას მისი უნივერსიტეტში ჩარიცხვის მიზანშეწონილობის თაობაზე და საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, გასცემს თანხმობის წერილს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარსადგენად.
- 4.3.1. უნივერსიტეტი უფლებამოსილია მოსთხოვოს აბიტურიენტს მისი საგანმანათლებლო დოკუმენტის ფორმალური ცნობა/აღიარება, ლეგალიზაცია ან/და აპოსტილით დამოწმება.
- 4.3.2. უნივერსიტეტის თანხმობის მიღების შემთხვევაში, აბიტურიენტი ვალდებულია მიმართოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გადაწყვეტილების საფუძველზე მოიპოვოს უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლება.
- 4.3.3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გადაწყვეტილების გამოცემის შემდეგ გამოიცემა უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანება აბიტურიენტის უნივერსიტეტში ჩარიცხვის თაობაზე.
- 4.3.4. ამ მუხლის 4.2 პუნქტით განსაზღვრული პირებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად, ჩარიცხვა შესაძლებელია ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე. აღნიშნული პროგრამა არის 60-კრედიტიანი, მისი გავლა შესაძლებელია მხოლოდ პირველი სასწავლო წლის განმავლობაში და მისი დასრულების შემდეგ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გასცემს ამ პროგრამის დასრულების დამადასტურებელ სერტიფიკატს. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტები თავიანთი არჩევანის შესაბამისად, სწავლას აგრძელებენ უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით.
- 4.4. უნივერსიტეტის მაგისტრატურაში ჩარიცხვის პროცედურული საკითხები წესრიგდება ამ წესის მე-4 მუხლის 4.3. ქვეპუნქტით დადგენილი ბაკალავრიატში ჩარიცხვის წინაპირობების ანალოგიურად.
- 4.5. უცხო ქვეყნის მოქალაქის უნივერსიტეტში ქართულენოვან პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში, იგი ვალდებულია ჩააბაროს ტესტი-ქართული ენის ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით.

მუხლი 4. მობილობის წესით უნივერსიტეტში სტუდენტის ჩარიცხვა

1. უნივერსიტეტში მობილობის წესით სტუდენტის ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანების შესაბამისად.
2. მობილობის წესით სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში, არსებული კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებული „სწავლის პერიოდში მიღებული განათლების (ECTS კრედიტების) აღიარების წესის“ მიხედვით, შესაბამისი სკოლის (და ხარისხის მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტის მიერ - ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) დგინდება სტუდენტის მიერ სხვა სასწავლო დაწესებულებაში ათვისებული პროგრამისა და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობა, რის შემდეგაც განისაზღვრება, სწავლების რომელი სემესტრიდან გააგრძელებს სტუდენტი უნივერსიტეტში სწავლას.

მუხლი 5. მობილობის ზოგადი წესი და პროცედურა

1. მობილობის (საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადაყვანის წესით ჩარიცხვის) უფლება აქვს სტუდენტს, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხა საქართველოს აკრედიტებულ/ალიარებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში, იმ შემთხვევაში, თუ მას გავლილი აქვს სწავლების ერთი წელი.
2. ამ წესის მე-3 მუხლით განსაზღვრული პირი მობილობის განხორციელებისათვის ვალდებულია მოიპოვოს უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე, ამ წესის მე-3 მუხლით დადგენილი წინაპირობების დაცვით.
3. მობილობის განხორციელებისათვის უნივერსიტეტი განსაზღვრავს თავისუფალი ადგილების რაოდენობას, რომელზედაც შესაძლებელია მობილობით სტუდენტების მიღება.
4. თავისუფალი ადგილების რაოდენობის გამოთვლისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს კანონმდებლობის შესაბამისად.
5. მობილობის ვაკანსიები სკოლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად ქვეყნდება სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის ელექტრონულ პორტალზე.
6. მობილობის გამოცხადების შემდეგ, უნივერსიტეტის დირექტორთა საბჭო ადგენს ვადას, რომელშიც უნდა განხორციელდეს მობილობის მსურველთა მიერ დოკუმენტაციის უნივერსიტეტში წარმოდგენა, მათ მიერ ელექტრონული რეგისტრაციის გავლის პარალელურად.
7. მობილობის მსურველს ევალება წარმოადგინოს უნივერსიტეტში ყველა ის დოკუმენტი, რომელიც სავალდებულოა ბაკალავრიატის / ერთსაფეხურიანი / მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტის უნივერსიტეტში ჩარიცხვისათვის, ასევე, მობილობის მსურველის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის ალიარების მოთხოვნის შემთხვევაში, მობილობის მსურველს მოეთხოვება აკადემიური ცნობის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - დამატებითი დოკუმენტაციის (კურიკულუმი, სილაბუსი) წარმოდგენა.
8. უნივერსიტეტი იხილავს სტუდენტის პირად საქმეს და ადგენს თავსებადობას მობილობის მსურველის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის ალიარების შესახებ ამ წესით დადგენილი პროცედურების დაცვით.

მუხლი 6. მობილობის შედეგები

1. მობილობის მსურველი მოიპოვებს უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლებას სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მის ჩარიცხვაზე გაცემული დადებითი დასკვნის შემთხვევაში.
2. მობილობით სტუდენტების ჩარიცხვის თაობაზე უნივერსიტეტის პრეზიდენტი გამოსცემს ერთიან ბრძანებას, რომელიც სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა 1 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 1 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში. ბრძანება გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახება რეესტრში, ხოლო 3 სამუშაო დღის ვადაში იგზავნება ცენტრში.
3. მობილობასთან დაკავშირებით პროცედურები, რომელიც არ განისაზღვრება ამ წესით, რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანებით №10/ნ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნების საფუძველზე.

მუხლი 7. შიდა მობილობა

1. სწავლების ნებისმიერ სემესტრში, სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს შიდა მობილობით და უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამა.
2. შიდა მობილობა ცხადდება დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, წელიწადში 2 - ჯერ.
3. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება აქვს სტუდენტს იმ შემთხვევაშიც, როცა მას შიდა მობილობის გამოცხადების მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი.
4. შიდა მობილობის პროცესში სტუდენტის კრედიტების აღიარება ხორციელდება „სწავლის პერიოდში მიღებული განათლების (ECTS კრედიტების) აღიარების წესის“ შესაბამისად.
5. შიდა მობილობით სტუდენტის გადაყვანა სხვა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტად ფორმდება პრეზიდენტის ბრძანებით.
6. შიდა მობილობის პროცესის დასრულების შემდეგ უნივერსიტეტი ვალდებულია შიდა მობილობის შედეგები ორი კვირის ვადაში მიაწოდოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

მუხლი 8. სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის ცნება

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერება არის სტუდენტისა და უნივერსიტეტის მიერ ერთმანეთის მიმართ სასწავლო პროცესით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან დროებითი გათავისუფლება, რომელიც გამოწვეულია შესაბამისი მოვალეობების შეუსრულებლობით ან შესრულების მომავალი შეუძლებლობით. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ატარებს დროებით ხასიათს და წყდება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რასაც შედეგად მოსდევს პირის სტუდენტის უფლებებში სრული აღდგენა.
2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა არის პირისათვის სტუდენტის სტატუსით მინიჭებული ყველა უფლება-მოვალეობებისგან გათავისუფლება, მის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობის, სტუდენტისათვის შეუფერებელი ქმედების ჩადენის ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შედეგად პირი ვერ ისარგებლებს უნივერსიტეტის სტუდენტის ვერც ერთი უფლებით, ხოლო მის მიერ სწავლის პერიოდში მოპოვებული განათლების აღიარებისათვის აუცილებელია სტუდენტის სტატუსის ხელახლა მოპოვება.

მუხლი 9. სტუდენტის სტატუსის შეჩერების წესი

1. პირისათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
 - ა) სტუდენტის წერილობითი განცხადება სტატუსის შეჩერების მოთხოვნის თაობაზე;
 - ბ) სტუდენტის უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა და სწავლა;
 - გ) სტუდენტის ავადმყოფობა;
 - დ) სტუდენტის ორსულობა ან მშობიარობა;
 - ე) სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის გადაუხდელობა, უნივერსიტეტის შინაგანაწესის ან/და სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში.
2. სტუდენტის სტატუსის შეჩერება უნდა მოხდეს სტუდენტის მიერ უნივერსიტეტისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე, უნივერსიტეტის მიერ შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს 10 (ათი) დღის ვადაში.
3. სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადა განისაზღვრება სტუდენტის მოთხოვნის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე. სტატუსის შეჩერების

- მაქსიმალური ვადაა 5 (ხუთი) წელი. 5 (ხუთი) წლის შემდეგ სტუდენტს აღარ აქვს უფლება, მოითხოვოს სტუდენტის სტატუსის აღდგენა უნივერსიტეტში.
4. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ფორმდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით. სტუდენტის სტატუსის შეჩერება უნდა აისახოს სტუდენტთა ერთიან რეესტრში.
 - 4¹. სტუდენტთა ერთიან რეესტრში ასახულ სტუდენტებს, რომლებსაც დადგენილი წესით არ მინიჭებიათ შესაბამისი კვალიფიკაცია და აღნიშნულ რეესტრში უფიქსირდებათ სტატუსი „კურსდამთავრებული“, მიენიჭოთ სტატუსი „შეჩერებული“.
 5. სტუდენტის სტატუსის შეჩერების დროის განმავლობაში, უნივერსიტეტი და სტუდენტი თავისუფლდებიან ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან. თუმცა, სტუდენტი ვალდებულია დაფაროს სტატუსის შეჩერებამდე არსებული დავალიანება და დააბრუნოს დროებით სარგებლობაში მყოფი უნივერსიტეტის საკუთრება.
 6. სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ სემესტრიდან, რომლიდანაც შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.
 7. სტუდენტის სტატუსის შეჩერებული პირი სარგებლობს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში/უნივერსიტეტის სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის (მობილობის/შიდა მობილობის) უფლებით.
 8. იმ შემთხვევაში, თუ ის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზედაც ირიცხებოდა სტუდენტი მისთვის სტატუსის შეჩერებამდე გაუქმებულია, ან შეცვლილია მისთვის სტუდენტის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის, სტუდენტი უფლებამოსილია სწავლა გააგრძელოს ყველაზე მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამით ან გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
 9. სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებული პროცედურები, რომელიც ამ წესით არ განისაზღვრება რეგულირდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანებას №10/ნ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 10. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წესი

1. უნივერსიტეტის მიერ სტუდენტისთვის სტუდენტის სტატუსის ცალმხრივად შეწყვეტა შესაძლოა მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ:
 - ა) სტუდენტი დაასრულებს საგანმანათლებლო პროგრამას და მიენიჭება კვალიფიკაცია, ან მობილობის წესით გადავა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
 - ბ) სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან გასულია 5 (ხუთი) წლიანი ვადა;
 - გ) სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში სარეგისტრაციო დოკუმენტების შეტანის შემდეგ, სტუდენტმა გაწყვიტა უნივერსიტეტთან კომუნიკაცია, არ იბარებს უნივერსიტეტის მიერ გაგზავნილ შეტყობინებებს ან/და უპასუხოდ ტოვებს მათ გონივრულ ვადაში;
 - დ) სტუდენტის მიერ მოხდა უნივერსიტეტის შინაგანაწესის ან/და სტუდენტთა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების დარღვევა;
 - ვ) სტუდენტმა ვერ დააგროვა საგნის ჩაბარებისათვის საჭირო მინიმალური ქულა ორჯერ, ერთსა და იმავე საგანში.
2. უნივერსიტეტის მიერ სტუდენტისთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა შესაძლოა მოხდეს ასევე:
 - ა) სტუდენტის პირადი განცხადების საფუძველზე;
 - ბ) გარდაცვალების შედეგად.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული საფუძვლ(ებ)ის არსებობისას, უნივერსიტეტი სტუდენტს გაუზიარებს გადაწყვეტილებას და უნივერსიტეტის უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირის ბრძანებას სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე.
4. სტუდენტი, რომლის მიმართაც მიმდინარეობს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე წარმოება ამ მუხლის პირველი პუნქტის ბ)-ე) ქვეპუნქტების საფუძველზე, ინფორმირებული უნდა იყოს აღნიშნულის შესახებ და მიეცეს საკუთარი მოსაზრებების, ახსნა-განმარტების და მტკიცებულებების წარმოდგენის შესაძლებლობა.
5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ფორმდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის დასაბუთებული ბრძანებით და წარმოადგენს სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების მოშლას.
6. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 1 წლის შემდეგ, რა ვადაშიც პირი უფლებამოსილია გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება ან ისარგებლოს მობილობის უფლებით.
7. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა და სასწავლო ხელშეკრულების მოშლა საჩივრდება სასამართლოს/არბიტრაჟის წესით (მხარეთა შეთანხმების საფუძველზე).
8. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებული პროცედურები, რომელიც ამ წესით არ განისაზღვრება რეგულირდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანებას №10/ნ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 11. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით, სტატუსის ხელახალი მოპოვებით, სტუდენტის უნივერსიტეტში ხელახლა ჩარიცხვის შემდეგ, მათ შორის ეროვნული გამოცდების ჩაბარების საფუძველზე.
2. 2010 წლის 5 თებერვლამდე გარიცხული/ამორიცხული სტუდენტი განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად გარიცხვის/ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემიდან 10 (ათი) წლის განმავლობაში და ამ ვადაში უფლებამოსილია, მომართოს ალტე უნივერსიტეტს სტატუსის აღდგენის თაობაზე, თუ გარიცხვის/ამორიცხვის საფუძველი არ არის ამ წესით დადგენილი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.
3. ალტე უნივერსიტეტიდან გარიცხული/ამორიცხული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, სტუდენტის სემესტრი განისაზღვრება მოქმედ პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის გზით (კრედიტების აღიარების წესის მიხედვით).
4. სტუდენტს, რომელსაც საბაკალავრო/ერთსაფეხუარიანი/სამაგისტრო პროგრამაზე აკადემიური დავალიანების გამო არ მიენიჭა შესაბამისი კვალიფიკაცია და არ არსებობს სამართლებრივი აქტი მასზე სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ (სტუდენტთა მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებულია, როგორც კურსდამთავრებული), უფლება ეძლევა სწავლა გააგრძელოს პირადი განცხადების საფუძველზე, თვითდაფინანსებით და დაასრულოს საგანმანათლებლო პროგრამა დამატებითი სემესტრის (სემესტრების) გავლის გზით.
5. სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, მისი აღდგენა შესაძლებელია სტუდენტის პირადი განცხადების საფუძველზე, რომლითაც სტუდენტმა უნივერსიტეტს უნდა დაუსაბუთოს, რომ აღმოფხვრილია სტატუსის შეჩერების საფუძველი.
6. შეჩერებული სტატუსის აღდგენა ხდება უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წეს(ებ)ით, უნივერსიტეტის მიერ ყოველი კონკრეტული შემთხვევის შეფასების საფუძველზე, არაუგვიანეს შუალედური გამოცდების კვირეულისა. ხოლო თუ სტუდენტმა სემესტრის

განმავლობაში შეიჩერა სტატუსი, იმავე სემესტრში მისი აღდგენა შესაძლებელია არაუგვიანეს შუალედული გამოცდების გადაბარების კვირეულის წინა კვირისა.

7.

მუხლი 12. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის ზოგადი აღწერა.

1. სტუდენტის სასწავლო პროცესში თითოეული სტუდენტის აკადემიური დატვირთვის ასახვისათვის, რომელიც სტუდენტს ესაჭიროება სასწავლო პროგრამის მიზნების მისაღწევად, უნივერსიტეტი იყენებს ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემას (ECTS).
2. უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დადგენილი წესის საფუძველზე.
3. სტუდენტთა საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის” მე-4 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

მუხლი 13. სტუდენტის სასწავლო საქმიანობა

1. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეს არის დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.
2. საკრედიტო სისტემის შესაბამისად სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს, ხოლო ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვა) 25 -30 ასტრონომიული საათს, რაც შეესაბამება სასწავლო საქმიანობის 1500 -1800 ასტრონომიულ საათს ერთი სასწავლო წლის განმავლობაში.
3. კრედიტების განაწილება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის. კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად და მოიცავს როგორც სტუდენტის მიერ ორგანიზებულ გარემოში გატარებულ თეორიულ და პრაქტიკულ მუშაობას (საკონტაქტო საათები) ასევე სტუდენტის მიერ ინდივიდუალურ მუშაობას (დამოუკიდებელი მუშაობის საათები).
4. კრედიტის გაანგარიშებისას არ გაითვალისწინება დამატებითი გამოცდისთვის (მომზადება, ჩაბარება, შეფასება) განსაზღვრული დრო, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელ პირთან საკონსულტაციო დრო.
5. სტუდენტის წლიური დატვირთვა არ შეიძლება იყოს 75 კრედიტზე მეტი, ხოლო მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში სწავლების სრულ პერიოდზე (6 წელი) სტუდენტს აქვს შესაძლებლობა დაიმატოს მხოლოდ 15 კრედიტი.

მუხლი 14. სტუდენტთა მიღწევების შეფასება

1. სტუდენტთა მიღწევების შეფასება წარმოებს მთელი სემესტრის განმავლობაში. სტუდენტის საბოლოო შეფასება უნდა წარმოადგენდეს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის დადებითი შედეგების ჯამს. სტუდენტის ცოდნა, ყველა კომპონენტში ჯამურად ფასდება 100 ქულით.
- 1.1. დასწრებას საბოლოო შეფასებაში პროცენტული წილი არ აქვს.

- 1.2 დაუშვებელია სასწავლო კომპონენტებში სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სამეცნიერო კომპონენტი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).
- 1.3. უნივერსიტეტში სტუდენტის აკადემიური მოსწრების დონე განისაზღვრება, როგორც სასწავლო კურსებში მიღებული ქულებით, ასევე აღნიშნული ქულების ექვივალენტით - საშუალო აკადემიური შეფასებით (GPA).
- 1.4 ნებისმიერი სასწავლო კურსის GPA გამოითვლება ფორმულით: $GPA = (X-50) \times 0,06 + 1$, სადაც X არის სასწავლო კურსში მიღებული ქულა. მაგ. თუ სტუდენტმა სასწავლო კურსში დააგროვა 83 ქულა, ამ საგანში GPA იქნება $2,98 ((83-50) \times 0,06 + 1 = 2,98)$. GPA – გამოითვლება მხოლოდ იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც სტუდენტს მიღებული აქვს დადებითი შეფასება (A,B,C,D,E). FX და F შეფასება GPA-ს გამოთვლაში 0-ის ტოლია. სარეიტინგო მონაცემების მისაღებად გამოითვლება სტუდენტთა სემესტრული GPA, რა დროსაც დაჯამდება უარყოფითი შეფასებებიც.
- 1.5 სასწავლო პროცესის ნებისმიერ ინტერვალში შეიძლება გამოითვალოს სტუდენტის შემაჯამებელი საშუალო აკადემიური შეფასება GPA (შემაჯამებელი). იგი გამოითვლება ფორმულით: $GPA(\text{შემაჯამებელი}) = (\sum \text{თითოეული სასწავლო კურსის GPA} \times \text{შესაბამის კრედიტზე}) / \text{ყველა სასწავლო კურსის კრედიტების ჯამზე}$. იმ შემთხვევაში თუ კურსდამთავრებულის GPA (შემაჯამებელი) არის არანაკლებ 3,5 - გაიცემა დიპლომი წარჩინებით; სხვა შემთხვევაში - ჩვეულებრივი დიპლომი;
2. შეფასების სისტემა
- 2.1. 100 ქულა წარმოადგენს სტუდენტის მაქსიმალურ საბოლოო შეფასებას. სტუდენტის მიერ 100-დან 51 ქულის დაგროვების შემთხვევაში საგანი ჩაბარებულად ითვლება. 41-დან 50 ქულამდე დაგროვების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დასკვნით გამოცდაზე კიდევ ერთხელ გასვლის უფლება კურსის გამეორების გარეშე. 41 ქულაზე ნაკლების დაგროვების შემთხვევაში სტუდენტმა ხელმეორედ უნდა შეისწავლოს კურსი.
- 2.2. თითოეულ სასწავლო კურსში შუასემესტრული კომპონენტებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების სისტემა შედგენილი და საგნის სილაბუსში დეტალურად გაწერილია კურსის განმახორციელებელი პროფესორის მიერ.
- 2.3. ალტე უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების შემდეგი ინდექსური სისტემა და მაჩვენებლები:
- დადებითი შეფასებები:
- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების– 91-100 ქულა;
 - (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
 - (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
 - (D) დამაკმაყოფილებელი -მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
 - (E) საკმარისი – -მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
- უარყოფითი შეფასებები:
- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა ჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
 - (F) ჩაიჭრა- მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სასწავლო კურსის ხელახლა გავლისათვის სტუდენტმა უნდა გადაიხადოს სასწავლო კურსის შესაბამისი ღირებულება, რომელიც გამოითვლება ფორმულით: $Q=S/60 \cdot n$ სადაც S არის საგანმანათლებლო პროგრამის ერთი სასწავლო წლის საფასური; n- სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა.
- 2.4. სტუდენტს უფლება აქვს ერთი და იგივე სასწავლო კურსი გაიაროს რამოდენიმეჯერ, ამ წესის მე-10 მუხლის, პირველი პუნქტის ე) ქვეპუნქტის შესაბამისად.

- 2.4.1. საგნის შესწავლის წინაპირობის დაცვის მიზნით, სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის ხელმეორედ შესწავლა (შეფასება „F“-ის შემთხვევაში) შესაძლებელია მოხდეს მომდევნო სემესტრში (სასწავლო კურსისათვის პროგრამით განსაზღვრული სემესტრის მიუხედავად). საგნის ხელმეორედ გავლა შესაძლებელია როგორც ერთი სემესტრის მანძილზე, ასევე ინტენსიური კურსის სახითაც (საკონტაქტო საათების სრული ათვისებით)-9 კვირის განმავლობაში (ინტენსიური კურსის სახით ასევე შეიძლება განხორციელდეს მიმდინარე სემესტრში პროგრამით დაგეგმილი ის სასწავლო კურსი, რომლის წინაპირობასაც აღნიშნული საგანი წარმოადგენს), შემდეგი განრიგით:
- კურსის ხანგრძლივობა -9 კვირა :
 - ლექცია-პრაქტიკულები -პირველი 7 კვირა;
 - შუალედური გამოცდა - მე-4-ე კვირა;
 - შუალედური გამოცდის აღდგენა/გადაბარება; რეფერატის/პრეზენტაციების/პროექტების დაცვა -მე-6-ე კვირა;
 - დასკვნითი გამოცდა -მე-8-ე კვირის დასაწყისში.
 - დამატებითი გამოცდა მე-9-ე კვირის ბოლოს.
3. შეფასების კომპონენტები
- 3.1. 100 ქულიანი სისტემიდან შუასემესტრულ კომპონენტებზე გადანაწილებულია 70 ქულა, ხოლო 30 ქულა ეთმობა დასკვნით გამოცდას.
- 3.2. შუასემესტრული კომპონენტებისთვის განსაზღვრული 70 ქულა ნაწილდება შუალედური შეფასებების მიხედვით, შემდეგი პირობების დაცვით:
- ა) შუალედური გამოცდა – 30 ქულა;
 - ბ) აქტიურობა (სამუშაო ჯგუფში, პრაქტიკულზე/სხვ.) - 30 ქულა;
 - გ) რეფერატი/პრეზენტაცია/პროექტი- 10 ქულა
- 3.3. კურსის განმახორციელებელი არ იზღუდება ჰქონდეს შეფასების განსხვავებული კომპონენტები და ამ კომპონენტებს ჰქონდეს 3.1 და 3.2 ქვეპუნქტით განსაზღვრულისაგან განსხვავებული მაქსიმალური ქულა და 3.4-3.8 პუნქტებით განსაზღვრულისაგან განსხვავებული მინიმალური კომპეტენციის ზღვრები სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, რომელიც უნდა აისახოს სილაბუსში.
- 3.4. დასკვნითი გამოცდა - შეფასების სავალდებულო კომპონენტია. ტარდება კურსის დასრულებისას, მე-18/19/20 კვირას და ფასდება 30 ქულით. დასკვნითი გამოცდის შედეგი დადებითად ჩაითვლება, თუ მასში მიღებულია მინიმუმ 10 ქულა. თუ სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე მიიღებს შეფასებას 1-დან 9 ქულის ჩათვლით, ითვლება ჩაჭრილად და მიუხედავად მისი მიღწევებისა სხვა შუასემესტრულ კომპონენტებში ვალდებულია გავიდეს დამატებით გამოცდაზე.
- 3.4.1. დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობებია: ფინანსური დავალიანების არქონა, შუალედური გამოცდის მინიმალური (10 ქულა) დადებითი ქულა და სემესტრის განმავლობაში სტუდენტის მიერ სავალდებულო შუალედური კომპონენტების დადებითი ქულათა ჯამით მინიმუმ 21 ქულის დაგროვება. სტუდენტი, რომელიც სემესტრის განმავლობაში ვერ დააგროვებს სავალდებულო მინიმალურ ქულას (21), დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება.
- 3.4.2 დასკვნითი გამოცდა საპატიო მიზეზის არსებობისას, სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით, პირადი განცხადების საფუძველზე, შეიძლება ჩატარდეს ინდივიდუალურ რეჟიმში, არაუადრეს ბოლო სალექციო კვირისა (მე-15 კვირა) (რეგულირდება პრეზიდენტის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით).
- 3.5 დამატებითი გამოცდა - დამატებითი გამოცდის ჩაბარება, დასკვნით გამოცდაზე ჩაჭრის, სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასების 41-50% -ის დაგროვების ან მიღებული შეფასების გაუმჯობესების მიზნით, შესაძლებელია მე-20-21 კვირას. დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის შუალედით. სტუდენტებს, რომლებიც ვერ გამოცხადდნენ

დასკვნით გამოცდებზე საპატიო მიზეზით, ასევე აქვთ უფლება გავიდნენ დამატებით გამოცდაზე (იმ წინაპირობების დაცვით, რაც დაწესებულია დასკვნითი გამოცდისთვის).

- 3.5.1. დამატებითი გამოცდა შეიძლება დაინიშნოს ერთხელ და ამ გამოცდაზე შეფასება FX - არ იწერება. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
- 3.5.2. დამატებითი გამოცდა, საპატიო მიზეზის არსებობისას, სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით, პირადი განცხადების საფუძველზე, შეიძლება ჩატარდეს ინდივიდუალურ რეჟიმში, არაუგვიანეს მომდევნო სემესტრის დაწყებისა. (რეგულირდებაპრეზიდენტის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით).
- 3.5.3. დამატებითი გამოცდის ორგანიზების, ასევე კურსის თავიდან შესწავლის ხარჯებს ანაზღაურებს სტუდენტი დადგენილი ტარიფის შესაბამისად.
- 3.6. შუალედური გამოცდა - შეფასების სავალდებულო კომპონენტია. კურსის განმავლობაში სტუდენტი აზარებს ერთ შუალედურ გამოცდას, რომლითაც მოწმდება მის მიერ მიღებული ცოდნა. შუალედური გამოცდა ტარდება სემესტრის მე-8-9 კვირას და ფასდება 30 ქულით. შუალედური გამოცდის შედეგი დადებითად ჩაითვლება, თუ მასში მიღებულია მინიმუმ 10 ქულა.
- 3.6.1. შუალედური გამოცდა საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება ჩატარდეს როგორც ტესტური (ღია და დახურული ტესტები), ასევე ესეს, კაზუსის, თეორიული საკითხის (წერიტი/ზეპირი) ან/და კომბინირებული სახით.
- 3.6.2. შუალედური გამოცდების აღდგენა ან შედეგის გაუმჯობესება შესაძლებელია სწავლების მე-17 კვირას.
- 3.7. აქტივობა - თითოეული კურსის გავლის ბოლოს სტუდენტმა სამუშაო ჯგუფში/პრაქტიკულზე/სხვ. აქტიური მონაწილეობის შემთხვევაში შეიძლება მოაგროვოს მაქსიმუმ 30 ქულა.
- 3.7.1. აქტივობა შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით: სტუდენტის ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც წერილობითი ფორმა (კითხვარი, ქვიზები, ტესტი, ესე, და სხვ.), ასევე ზეპირი გამოკითხვა, დებატები, პრეზენტაცია, ჯგუფური და ინდივიდუალური პროექტი და ა.შ.
- 3.7.2. აქტივობის ქულა საბოლოო შეფასებაში ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი სემესტრის განმავლობაში მაქსიმალური 30 ქულიდან დააგროვებს 10 ქულაზე მეტს.
- 3.8. რეფერატ(ებ)ის, პროექტების და სხვა წარმოდგენა/შეფასება ხდება შესაბამისად სემესტრის მე-15 და მე-16 სასწავლო კვირას. ფასდება 10 ქულით.
- 3.8.1. რეფერატის ქულა საბოლოო შეფასებაში ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი მაქსიმალური 10 ქულიდან დააგროვებს 4 ქულაზე მეტს.
- 3.9. საკონტაქტო საათებზე დასწრება - აღნიშნულ კრიტერიუმს, საბოლოო შეფასებაში, პროცენტული წილი არ აქვს.
- 3.9.1. აქტივობის აღდგენა - აქტივობის აღდგენა ერთ სასწავლო კურსში შესაძლებელია სემესტრის განმავლობაში ორჯერ: ერთხელ საპატიო მიზეზით, ერთხელ კი ასეთი მიზეზის არარსებობის მიუხედავად, სასწავლო კურსის განმახორციელებელის ინდივიდუალური გადაწყვეტილების საფუძველზე. [საპატიო მიზეზით აქტივობის აღდგენა შეუძლიათ სტუდენტებს ცალკეულ შემთხვევაში (ქრონიკული ავადმყოფობები, ჩვილბავშვიანობა, პროფესიონალი სპორტსმენობა, სავალდებულო სამხედრო სამსახურში ყოფნა), შესაბამისი ცნობის წარმოდგენის საფუძველზე.
- 3.9.2. აქტივობის აღდგენილი ქულები ფიქსირდება სტუდენტის აქტივობის შეფასების უწყისში

- 3.9.3. აქტივობის აღდგენა ხორციელდება სტუდენტის განცხადების და/ან შესაბამისი ცნობის საფუძველზე, შუალედური გამოცდების გადაბარების კვირაში.
- 3.10. სტუდენტის მიერ შუასემესტრულ კომპონენტებში მიღებული შეფასებები ძალაში რჩება მხოლოდ მიმდინარე სემესტრის განმავლობაში. მომდევნო სემესტრში ან კურსის თავიდან გავლის შემთხვევაში იმავე კურსის თავდაპირველი სწავლებისას მიღებული შუასემესტრული შეფასებები მხედველობაში აღარ მიიღება.
- 3.11. პრაქტიკა - უნივერსიტეტი სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტების უკეთ ათვისების უზრუნველსაყოფად აფორმებს ხელშეკრულებებს საქართველოს ბაზარზე არსებულ კომპანიებთან, საჯარო დაწესებულებებთან და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობებთან.
- 3.11.1. პრაქტიკის სტანდარტული მოდელით ანგარიშის შეფასება (შესაძლებელია პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე განსხვავებული ქულობრივი და შინაარსობრივი გადანაწილება) ხდება ქულათა სისტემით. მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა. პრაქტიკის შეფასება მრავალჯერადი და მრავალკომპონენტია. შეფასებას ექვემდებარება პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის აქტივობა (მაქს. ქულა - 60) და პრაქტიკის ანგარიში (შესრულება და დაცვა-მაქს. ქულა - 40).
- 3.11.1.1. აქტივობა (მაქს. 60 ქულა):
მიზანდასახულობა - 15 (მაქს. ქულა); ოპერატიულობა - 15 (მაქს. ქულა); ინიციატივის გამოვლენა - 15 (მაქს. ქულა); დავალების შესრულების ხარისხი - 15 (მაქს. ქულა);
- 3.11.1.2. პრაქტიკის ანგარიში (მაქს. 40 ქულა):
რეზიუმე - 5 (მაქს. ქულა) (ასახავს პრაქტიკის მიზნებს და წარმოადგენს პრაქტიკის შედეგების არგუმენტირებულ შეჯამებას); დაწესებულების აღწერა - 3 (მაქს. ქულა) (პრაქტიკის ანგარიში ქმნის მკაფიო წარმოდგენას პრაქტიკის გავლის დაწესებულებაზე, საქმიანობის სფეროზე და პროფილზე);
პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის აღწერა-ანალიზი - 15 (მაქს. ქულა) (პრაქტიკის დროს შესრულებული სამუშაოს და შესწავლილი საკითხების შესაბამისობა პრაქტიკის მიზნებთან; პრაქტიკის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს ანალიზის და შეფასებების ადეკვატურობა და ობიექტურობა; შესრულებული სამუშაოს და მიღწეული შედეგების აღწერა და შესაბამისი მაგალითების მოყვანა; შესრულებული სამუშაოს და შესწავლილი საკითხების მეშვეობით განვითარებული კონკრეტული უნარების ჩამოთვლა და აღწერა, წარმატებული პრაქტიკული საქმიანობისთვის მათი მნიშვნელობის ადეკვატური შეფასება); დასკვნები - 5 (მაქს. ქულა) (დასკვნები არგუმენტირებულად და ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული); დანართი - 2 (მაქს. ქულა) (რელევანტურია და შეესაბამება პრაქტიკის ანგარიშის შინაარსს, ხელს უწყობს ანგარიშში აღწერილი ფაქტების დასაბუთებას და ილუსტრირებას);
პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაცია - 10 (მაქს. ქულა) (სტუდენტს შეუძლია ანგარიშის წარდგენა, შესრულებულ სამუშაოზე საუბარი, პრაქტიკის შედეგების განხილვა, მოსაზრებების არგუმენტირება და დაცვა, ცოდნისა და უნარების წარმოჩენა).
- 3.11.2. შესაბამისი პროფილით სტუდენტის თვითდასაქმების შემთხვევაში, სამუშაო ითვლება პრაქტიკის ობიექტად და თანამდებობრივად ზემდგომი პირის მიერ ასევე ფასდება მაქ. 60 ქულით (მიზანდასახულობა- 15 (მაქს. ქულა); ოპერატიულობა -15 (მაქს. ქულა); ინიციატივის გამოვლენა-15 (მაქს.ქულა); დავალების შესრულების ხარისხი - 15 (მაქს. ქულა);
- 3.12. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი
- 3.12.1. საბაკალავრო პროგრამა შეიძლება ითვალისწინებდეს საბაკალავრო ნაშრომის/ კვლევითი პროექტის შესრულებას. მასწავლო კომპონენტის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა. კომპონენტის შეფასება მრავალჯერადი და მრავალკომპონენტია.

- 3.12.2. სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს - სამაგისტრო ნაშრომს, რომლის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა. კომპონენტი შეფასება ერთჯერადია.
- 3.12.3. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია ქულების განაწილება/მოცულობა და შეფასების კრიტერიუმების იყოს განსხვავებული.

მუხლი 15. სტუდენტის მიერ კრედიტების დაგროვება. დამატებითი სემესტრი

1. სტუდენტის მიერ კრედიტების მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ შესასრულებელი სამუშაოს წარმატებით დასრულების შედეგად.
2. კრედიტების მოპოვების მიზნით სტუდენტი ვალდებულია ჩააბაროს:
 - თითოეული სასწავლო კურსის შესაბამისი შუასემესტრული კომპონენტები (სემესტრის განმავლობაში);
 - დასკვნითი გამოცდა.
3. სტუდენტთა რანჟირება (შეფასება) განისაზღვრება მუხლი 14. პუნქტი 2.3 -ის მიხედვით.
4. სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ მოიპოვა შესაბამისი აკადემიური ხარისხი, უფლება ეძლევა დარეგისტრირდეს დამატებით სემესტრში და თვითდაფინანსების გზით დაასრულოს სასწავლო პროგრამა.
5. დამატებითი სემესტრის სწავლის საფასური განისაზღვრება სტუდენტთან ჩარიცხვის პერიოდიდან გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი ტარიფით.
6. სტუდენტის მიერ თითოეულ სემესტრში დაგროვილი კრედიტების რაოდენობა აღიწერება სტუდენტის სასწავლო ბარათში.

მუხლი 16. უნივერსიტეტის აკადემიური წელი

1. აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი, რაც არ აღემატება 12 უწყვეტ კალენდარულ თვეს.
2. აკადემიური წელი არის ორ სემესტრიანი. სემესტრი არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდის/გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდაზე/გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს. ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 21 სასწავლო კვირას. უნივერსიტეტის აკადემიური წელი მოიცავს 42 სასწავლო კვირას.
3. სასწავლო კვირა არის დროის პერიოდი, რომელზეც ნაწილდება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის სასწავლო დატვირთვა და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ დროში შესასრულებელი აქტივობების ერთობლიობას.
3. სემესტრში კვირების განაწილება არის შემდეგი: 14 კვირა ეთმობა სალექციო-სააუდიტორიო მეცადინეობებს, ხოლო დანარჩენი კვირები მოიცავს:
 - შუალედური გამოცდა (მე-8-9 კვირა);
 - რეფერატების, პრეზენტაციების, პროექტების და სხვა წარდგენა/დაცვა (მე-15 კვირა/მე-16 კვირა);
 - კონსულტაციებს დასკვნითი გამოცდის საკითხებზე და შუალედური გამოცდის გადაბარებას (მე-17 კვირა);
 - დასკვნითი გამოცდა (მე-18-19-20-ე კვირა, დამატებითი გამოცდა - მე-20-21-ე კვირა)
4. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია სასწავლო და საგამოცდო კვირების განაწილება იყოს განსხვავებული.

მუხლი 17. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ორგანიზება.

1. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ორგანიზებას (მართვას) ახორციელებენ: უნივერსიტეტის ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტი და სკოლა.
2. უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი ტარდება ლექციების, პრაქტიკული მეცადინეობებისა და საგანმანათლებლო პროგრამასა და სილაბუსებში გათვალისწინებული სხვა ფორმებით.
3. უნივერსიტეტში სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების ხანგრძლივობა არის 50 წუთი. ლექცია-პრაქტიკულებს შორის შესვენება არის 10 წუთი. მესამე სალექციო საათის შემდეგ, შესვენება არის-30 წუთი. აღნიშნული დრო დაზუსტებულია სასწავლო ცხრილებში.
4. უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი ხორციელდება სკოლებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ხარისხის მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტის მიერ კონსოლიდირებული ცხრილების მიხედვით;
5. სასწავლო/საგამოცდო ცხრილები უნივერსიტეტში განთავსდება სასწავლო პროცესის მართვის ელ. პროგრამაში (emis.alte.edu.ge), ყოველ სემესტრში.
6. ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის შემდეგ ხდება საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით სტუდენტთა ჯგუფების ფორმირება. თითოეულ ჯგუფში სტუდენტების მიერ აირჩევა ჯგუფის ლიდერი, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს ადმინისტრაციასა და ჯგუფს შორის აქტიური კომუნიკაცია, მოაგვაროს ჯგუფის ორგანიზაციული საკითხები.
7. კურსის განმახორციელებელი ვალდებულია:
 - 7.1 სწავლება და სტუდენტთა შეფასება განახორციელოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამითა და სასწავლო კურსის სილაბუსის საფუძველზე.
 - 7.2 დროულად მოახდინოს სტუდენტის აკადემიური მიღწევების შესახებ ინფორმაციის შეტანა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ პროგრამაში. ამასთან:
 - ა) სტუდენტის აქტივობის ქულები შეიტანოს არა უგვიანეს მომდევნო სასწავლო კვირის ბოლომდე;
 - ბ) სტუდენტის შუალედური/შუალედურის აღდგენის, დასკვნითი/დამატებითი გამოცდის და რეფერატის შეფასება შეიტანოს არა უგვიანეს 3 დღის ვადაში;
- 7.3. 7.2 ქვეპუნქტში მითითებული ვადების გასვლის შემდეგ კურსის განმახორციელებელს ეზღუდება ელექტრონულ პროგრამაში ქულების ასახვის შესაძლებლობა. ვადის აღდგენისათვის კურსის განმახორციელებელმა განცხადებით უნდა მიმართოს სკოლის დეკანს შესაბამისი დასაბუთებით.
- 7.4. საგამოცდო ტესტები წარუდგინოს ხარისხის მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტს შემდეგ ვადებში:
 - ა) შუალედური გამოცდის - სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს -3 კვირის ვადაში;
 - ბ) დასკვნითი გამოცდის - სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 10 კვირის ვადაში.
8. სკოლის დეკანი ვალდებულია:
 - 8.1 ასახოს ლექტორების მიერ სასწავლო კვირაში ფაქტობრივად ჩატარებული საათობრივი დატვირთვა;
 - 8.2 შეაგროვოს საგამოცდო მასალები, გადაამუშავოს და გაამრავლოს.
9. სასწავლო პროცესის მენეჯერი ვალდებულია:
 - 9.1 ლექციის დაწყებამდე უზრუნველყოს აუდიტორიის გახსნა და მომზადება (პროექტორის გამართვა, ტესტებით უზრუნველყოფა) სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის;
 - 9.2 გაუწიოს მონიტორინგი სტუდენტის დასწრებას. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პროცესში შესაბამის სართულზე აღკვეთოს დაგვიანებული სტუდენტების (ლექციის დაწყებიდან არაუმეტეს 10 წუთი) დაშვება ლექცია-პრაქტიკულებზე;

- 9.3 სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პროცესში სტუდენტის მიერ დისციპლინარული გადაცდომის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს უნივერსიტეტის დაცვის სამსახურს, ასევე აცნობოს დეკანს საჭიროების შემთხვევაში დისციპლინური საბჭოსთვის მისამართად;
10. აკადემიური რეგისტრაცია
- 10.1 სემესტრის დასაწყისში, აკადემიური რეგისტრაციისათვის განკუთვნილი ერთი კვირის ვადაში, სტუდენტი ვალდებულია, სასწავლო გეგმის შესაბამისად, საგნის შესწავლის წინაპირობების დაცვით, გაიაროს რეგისტრაცია სასწავლო პროცესის მართვის ელ. ქსიტემის მეშვეობით შესაბამის სავალდებულო სასწავლო კურსებში და აირჩიოს მისი ინტერესების შესაბამისად არჩევითი სასწავლო კურსები. სემესტრის სწავლის საფასურის მითითებით.
- 10.2 იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი დადგენილ ვადაში სასწავლო პროცესის მართვის ელ. პროგრამაში არ მონიშნავს შესაბამის სავალდებულო სასწავლო კურსებს (შესწავლის წინაპირობისა და შეთავაზების სემესტრის გათვალისწინებით) და, ამავე დროს, მას არ მიუმართავს უნივერსიტეტისათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნით, შესაბამისი სკოლის სასწავლო პროცესის მენეჯერი, სტუდენტთან ვერბალური კომუნიკაციის შედეგად, უზრუნველყოფს მის რეგისტრაციას შესაბამისი სემესტრის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებზე, ხოლო ამგვარი კომუნიკაციის შეუძლებლობის შემთხვევაში - მხოლოდ სავალდებულო სასწავლო კურსებზე.

მუხლი 18. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობა

1. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების არჩევანის გამჭვირვალობის მიზნით, სტუდენტს შეუძლია და აქვს საშუალება გაეცნოს საგანმანათლებლო (კურიკულუმი) და სასწავლო კურსის პროგრამებს (სილაბუსი).
2. კურიკულუმების და სილაბუსების გაცნობა შესაძლებელია უნივერსიტეტის ვებ-გვერდისა (საგანმანათლებლო პროგრამები და კატალოგი) და სასწავლო პროცესის მართვის ელ. პროგრამის საშუალებით;
3. სტუდენტს შეუძლია სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობიდან გამომდინარე, სემესტრის დაწყებამდე, შეთავაზებული არჩევითი საგნების მოდულიდან გააკეთოს არჩევანი;
4. სტუდენტის მიერ გაკეთებული არჩევანის დარეგისტრირება და სტუდენტის სასწავლო ცხრილის ფორმირება ხორციელდება სასწავლო პროცესის მართვის ელ პროგრამის (emis.alte.edu.ge) მეშვეობით.
5. საგანმანათლებლო პროგრამებში გათვალისწინებული უცხო ენის სავალდებულო კომპონენტის შესაბამის დონეზე დაშვება ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, კერძოდ:
 - ა) თუ სტუდენტი საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შემდეგ ირჩევს იმ უცხო ენას, რომელიც არა აქვს ჩაბარებული ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, მაშინ ენის შესწავლას იწყებს „საწყისი“ დონიდან;
 - ბ) თუ სტუდენტს ერთიან ეროვნულ გამოცდებში უცხო ენის გამოცდაზე მიღებული აქვს 60 ქულამდე უცხო ენის შესწავლას იწყებს „A1“ დონიდან;
 - გ) თუ სტუდენტს ერთიან ეროვნულ გამოცდებში უცხო ენის გამოცდაზე მიღებული აქვს 60 ქულაზე მეტი - უცხო ენის შესწავლას იწყებს „B1“ დონიდან.
6. იმ შემთხვევაში, თუ ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტი წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო უცხო ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელ საერთაშორისო ვალიდურ სერტიფიკატს (მაგ.: TOEFL, IELTS, FCE ან სხვ.), იგი შეიძლება გათავისუფლდეს სავალდებულო უცხო ენის შესწავლის ვალდებულებისგან. ასეთ შემთხვევაში, პროგრამის დასასრულებლად საჭირო 20 კრედიტების მოპოვება სტუდენტს შეეძლება ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების მეშვეობით.
7. სტუდენტი შეიძლება გათავისუფლდეს სავალდებულო უცხო ენის შესწავლის ვალდებულებისგან და პროგრამის დასასრულებლად საჭირო 20 კრედიტი მოიპოვოს

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების მეშვეობით იმ შემთხვევაშიც, თუ იგი წარმოადგენს შესაბამის უცხოენოვან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მინიმუმ ორი წლის განმავლობაში სწავლის დამადასტურებელ დოკუმენტს (მაგ., ატესტატი, დიპლომი, ნიშნების ფურცელი, სხვა).

მუხლი 19. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსები

1. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ.
2. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია ალტე უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესით“;

მუხლი 20. საგანმანათლებლო პროგრამების აღიარების ზოგადი პრინციპები

1. საგანმანათლებლო პროგრამის აღიარება გულისხმობს უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების ფარგლებში მიღწეული სწავლების შედეგების შედარებას უნივერსიტეტის იმ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო დისციპლინებთან, რომელზედაც სტუდენტი აგრძელებს სწავლას, რის საფუძველზეც უნივერსიტეტი იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების თავისი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის აღიარების შესახებ.
2. საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების პროცედურის განხორციელების საფუძველზე უნივერსიტეტი განსაზღვრავს, საგანმანათლებლო პროგრამის რომელ დონეზე (სემესტრში) განაგრძობს სტუდენტი სწავლას და რამდენი კრედიტის დაძლევა არის აუცილებელი შესაბამისი კვალიფიკაციის მისაღებად.
3. აღიარებას ექვემდებარება:
 - ა) საქართველოს აკრედიტებული/აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამები.
 - ბ) არააკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების ის ნაწილი, რომელიც, კანონმდებლობით დადგენილი წესით, აკრედიტებულად ითვლება.
 - გ) არააკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამა, სტუდენტის მიერ მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლით სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ. ამ შემთხვევაში მიღებული უმაღლესი განათლების სახელმწიფო აღიარებას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შემთხვევაში, ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი პირობებით.
 - დ) უცხო ქვეყნის კანონმდებლობით აკრედიტებული ან აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამები.

მუხლი 21. საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების წესი

1. პროგრამის აღიარება ხდება სტუდენტის მოთხოვნისა და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, „სწავლის პერიოდში მიღებული განათლების (ECTS კრედიტების) აღიარების წესის“ შესაბამისად.

- პროგრამის აღიარება შესაძლებელია განხორციელდეს სტუდენტის პირადი საქმის (აკადემიური ცნობის) შესწავლით, აგრეთვე შესაძლებელია მოიცვას სტუდენტის მიერ გავლილი საგნების ამსახველი დოკუმენტაციის (კურიკულუმი, სილაბუსები) შინაარსობრივი კვლევა.

მუხლი 22. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება და კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება

- საგანმანათლებლო პროგრამა დამთავრებულად ითვლება, თუ სტუდენტი დაძლევის პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სავალდებულო კომპონენტს და დააგროვებს:
 - საბაკალავრო პროგრამაზე – არანაკლებ 240 კრედიტს.
 - სამაგისტრო პროგრამაზე - არანაკლებ 120 კრედიტს.
 - მედიცინის ერთსაფეხურიან პროგრამაზე - არანაკლებ 360 კრედიტს.
 - სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან პროგრამაზე - არანაკლებ 300 კრედიტს.
- სწავლის შესაბამისი საფეხურისათვის დადგენილი კრედიტების მოპოვების შემდეგ პირს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და ეძლევა უნივერსიტეტის პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული, დადგენილი ფორმის დიპლომი, თავისი დანართით.
- იმ შემთხვევაში, როცა კურსდამთავრებულის GPA (შემაჯამებელი) არის არანაკლებ 3,5 - გაიცემა დიპლომი წარჩინებით; სხვა შემთხვევაში - ჩვეულებრივი დიპლომი;

მუხლი 23. სწავლის საფასური

- უნივერსიტეტში სასწავლო პროგრამის ღირებულებას განსაზღვრავს უნივერსიტეტის დირექტორთა საბჭო.
- სწავლის საფასურის გადახდა ხდება სასწავლო წლის დასაწყისში ერთიანად, სემესტრულად ან სტუდენტთან შეთანხმებული ინდივიდუალური გადახდის გრაფიკის მიხედვით უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში = სემესტრში პროგრამით განსაზღვრული სტანდარტული და სტანდარტულზე ნაკლები დატვირთვის შემთხვევაში სტუდენტი იხდის წლიური სწავლის საფასურის ნახევარს. ხოლო სტანდარტულზე მეტი დატვირთვის შემთხვევაში სტუდენტი იხდის კრედიტების ღირებულების შესაბამისად. საგნის ხელმეორედ შესწავლის შემთხვევაში სტუდენტი დამატებით იხდის საგნის კრედიტის შესაბამის თანხას.
- სახელმწიფო გრანტით ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სტუდენტებმა სახელმწიფო დაფინანსებასა და სწავლის რეალურ საფასურს შორის სხვაობა უნდა დაფარონ უნივერსიტეტის მიერ წინასწარ განსაზღვრულ ვადებში;
- უნივერსიტეტი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს სწავლის საფასურის მოცულობა, თუ გარემოებები, რომელიც უნივერსიტეტის მიერ სწავლის საფასურის განსაზღვრის საფუძველი გახდა მნიშვნელოვნად შეიცვალა და უნივერსიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია სწავლის საფასურის ცვლილება. ამასთან, ამგვარ შემთხვევაში სწავლის საფასურის გაზრდა შესაძლებელია განხორციელდეს წელიწადში მხოლოდ ერთხელ და არაუმეტეს მიმდინარე წლის სწავლის საფასურის 10%-ით.
- სტატუსს შეჩერებული სტუდენტისათვის სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შემთხვევაში, სწავლის საფასური განისაზღვრება არაუმეტეს სწავლის გაგრძელების მომენტისათვის მოქმედი ტარიფით

6. დამატებით სემესტრში დარეგისტრირების შემთხვევაში სწავლის საფასური არ იცვლება და განისაზღვრება სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ტარიფით;
7. სტუდენტს უფლება აქვს, სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუმეტეს 2 კვირის ვადაში მოითხოვოს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუქმება. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს გადახდილი თანხის დაბრუნების ან მისი მომდევნო სემესტრებში გამოყენების მოთხოვნის უფლებას.
8. სტუდენტს აქვს უფლება უნივერსიტეტის ცალკეულ საბაკალავრო /სამაგისტრო პროგრამებზე მოიპოვოს დაფინანსება, შიდა საუნივერსიტეტო გრანტის სახით. გრანტი შეიძლება გაიცეს საგანმანათლებლო პროგრამის მთლიანი ხანგრძლივობის ვადით (საბაკალავრო პროგრამისთვის 4 წელი, სამაგისტრო პროგრამისთვის - 2 წელი).
- 8.1. გრანტის გაცემის წინაპირობაა:
 - ა) სწავლის უფლების მოპოვება საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამაზე;
 - ბ) საკვალიფიკაციო ეტაპის (სამოტივაციო წერილის წარდგენა და გასაუბრება) წარმატებით დაძლევა.
- 8.2 საკვალიფიკაციო ეტაპი ფასდება კომისიის მიერ, მაქსიმალური 100 ქულით (50 ქულა - სამოტივაციო წერილი; 50 ქულა -გასაუბრება).

მუხლი 24. სტუდენტის უფლებები

1. სტუდენტს უფლება აქვს მიიღოს მისი ინტერესების შესაბამისი ხარისხიანი უმაღლესი განათლება, აქტიურად იყოს ჩართული უნივერსიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში.
2. დაუშვებელია სტუდენტების აკადემიური თავისუფლების, აგრეთვე „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ სტუდენტის უფლებებში შეზღუდვა, თუ იგი არ ემსახურება სასწავლო პროცესის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას, მაღალი ხარისხის სწავლების, დისციპლინისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ან არ არის მიმართული ამ დებულებით დადგენილი უნივერსიტეტის მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო საქმიანობის აღკვეთისათვის.
3. კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილ უფლებების გარდა უნივერსიტეტის სტუდენტი უფლებამოსილია:
 - ა) მოსთხოვოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით, სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებითა და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება;
 - ბ) მიიღოს მონაწილეობა საგანმანათლებლო დაწესებულების აქტივობებში, ისარგებლოს უნივერსიტეტის სასწავლო და დამხმარე რესურსით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
 - გ) მიიღოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან ინფორმაცია თავისი უფლებების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და უნივერსიტეტის სხვა რესურსების შესახებ;
 - დ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
 - ე) დადგენილ ვადაში აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი კომპონენტები, ან მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით;
 - ვ) მიიღოს მონაწილეობა უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ აკადემიური პერსონალისა და სასწავლო პროცესის შეფასებაში;
 - ზ) გაასაჩივროს პერსონალის და სხვა სტუდენტების „ეთიკის კოდექსითა“ და „მინაგანაწესით“ გათვალისწინებული ქმედებები, მათ შორის შეფასების სხვადასხვა კომპონენტებში/დავალდებულებებში (გამოცდა, რეფერატი, ყოველკვირეული შეფასება) მიღებული შეფასება (ამ შემთხვევაში გამოიყენება გამოცდების ჩატარების დებულების მე-4 მუხლით განსაზღვრული ვადები და პროცედურა).

მუხლი 25. სტუდენტის მოვალეობები

უნივერსიტეტის სტუდენტი ვალდებულია:

1. დაიცვას კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების, უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნები და შინაგანაწესი;
2. შეასრულოს საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი აკადემიური მოთხოვნები, მათ შორის სილაბუსით განსაზღვრულ ვადაში (თუ სილაბუსით ამგვარი ვადა არ არის განსაზღვრული - მაშინ ერთი კვირის ვადაში) გაუგზავნოს კურსის განმახორციელებელს შესრულებული სამუშაო/დავალება მოთხოვნილი ფორმატით (აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში სტუდენტს დაუფიქსირდება შეფასება 0 ქულა (ნული ქულა));
3. შეასრულოს უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

მუხლი 26. ფორმალური კომუნიკაციის საშუალებები:

1. ფორმალური კომუნიკაციისათვის უნივერსიტეტში გამოიყენება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამა (emis), ასევე alte უნივერსიტეტის ოფიციალური ელ. მისამართები (როგორც პერსონალისათვის, ისე სტუდენტებისათვის).
2. კურსის განმახორციელებელთან (დავალების გაგზავნა, შეკითხვა და სხვ.), ასევე სკოლის დეკანთან და მენეჯერთან კომუნიკაციისათვის შესაძლებელია მხოლოდ alte უნივერსიტეტის ოფიციალური ელ. მისამართების გამოყენებით (როგორც გამგზავნის, ისე მიმღების შემთხვევაში);
3. პასუხი სტუდენტს დაუბრუნდება alte უნივერსიტეტის ოფიციალურ ელ. მისამართზე 2 დღის, კურსის განმახორციელებლის და სკოლის დეკანისაგან, ხოლო სკოლის მენეჯერისაგან - 1 დღის ვადაში, შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამუშაო საათებში.

მუხლი 27. ხელშეკრულება

1. უნივერსიტეტი სტუდენტთან დებს ხელშეკრულებას (კონტრაქტი).
2. ხელშეკრულება იდება მთელი სწავლების პერიოდის ვადით.
3. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს სწავლის საფასურის მოცულობა, თუ გარემოებები, რომელიც უნივერსიტეტის მიერ სწავლის საფასურის განსაზღვრის საფუძველი გახდა მნიშვნელოვნად შეიცვალა და უნივერსიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია სწავლის საფასურის ცვლილება. ამასთან, ამგვარ შემთხვევაში სწავლის საფასურის გაზრდა შესაძლებელია განხორციელდეს წელიწადში მხოლოდ ერთხელ და არაუმეტეს მიმდინარე წლის სწავლის საფასურის 10%-ით.
4. ხელშეკრულება ხელმოწერილი უნდა იყოს უშუალოდ სტუდენტის მიერ, თუ სტუდენტი 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირია, ხელშეკრულებას ხელს აწერს მისი კანონიერი წარმომადგენელიც.
5. ხელშეკრულება შესაბამისად ფორმდება ქართულ ენაზე (უცხოენოვან პროგრამებზე-სწავლების ენაზე) ორ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი რჩება უნივერსიტეტს და იდება სტუდენტის პირად საქმეში, ხოლო მეორე გადაეცემა სტუდენტს.

მუხლი 28. გამოცდების ჩატარების წესები

1. უნივერსიტეტში გამოცდები ტარდება უნივერსიტეტის დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებული „გამოცდების ჩატარების წესის“ შესაბამისად.

მუხლი 29. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესს დადგენილებით ამტკიცებს უნივერსიტეტის დირექტორთა საბჭო.
2. წინამდებარე წესში ცვლილებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის დირექტორთა საბჭოს მიერ.